



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 127/ს
20/03/2023

127-21-4-202303201306



ახალციხის მუნიციპალიტეტში, ქ. ვალეში შპს „თენგო 2000“-ის ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „თენგო-2000“-ის მიერ გზმ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ახალციხის მუნიციპალიტეტში, ქ. ვალეში ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

2020 წლის 29 იანვარს ახალციხის მუნიციპალიტეტში, ქ. ვალეში შპს „თენგო-2000“-ის ცემენტის წარმოებაზე (ცემენტის საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია) გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-72).

შპს „თენგო-2000“-ის საწარმო განთავსებულია ახალციხის მუნიციპალიტეტში, ქ. ვალეში, II შახტის ტერიტორიაზე, კომპანიის კუთვნილ, ჯამურად 26 195 მ² ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 62.08.59.045; 62.08.59.005; 62.08.59.021; 62.08.59.022; 62.08.59.023). საწარმოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ცემენტის საწარმო, ინერტული მასალის გადამამუშავებელი საწარმო, ბეტონისა და ბეტონის ნაკეთობათა საწარმო, ლითონთა შედუღების საამქრო, ასევე, ავტოგასამართი სადგური. საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 250 მეტრით. ამასთან, წარმოდგენილი ინფორმაციით, საწარმოს ტერიტორიიდან 68 მეტრის დაშორებით განთავსებულია ვაგონის ტიპის საცხოვრებელი, ხოლო 65 მეტრის დაშორებით მიედინება უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი - მდ. ფოცხოვი. საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან 23 მეტრის მანძილზე განთავსებულია შპს „ასტორიას“ ასფალტის, ბეტონისა და ინერტული მასალების საწარმო, ხოლო დაახლოებით 85 მეტრის მანძილზე - შპს „ეი ჯი ტრანსპორტ ენდ დეველოპმენტ ლტდის“ სარკინიგზო გადაზიდვების სადგური.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოში დაგეგმილია ექსპლუატაციის პირობების ცვლილება, კერძოდ, **ცემენტის საწარმოში** დაგეგმილია ცემენტის წარმოების ტექნოლოგიურ პროცესში გათვალისწინებული პემზის საშრობი დანადგარის გაუქმება, ცემენტის წისქვილის სახელოიანი ფილტრის არსებული გამწოვი ვენტილატორის

წარმადობის გაზრდა და სილოსებზე არსებული ფილტრების სისტემის ცვლილება, ასევე, ცემენტის საწარმოს წლიური წარმადობის შემცირება. **ინერტული მასალების გადამამუშავებელ საწარმოში** დაგეგმილია სამსხვრევი დანადგარების რაოდენობის შემცირება (ნაცვლად 5 ერთეული სამსხვრევისა ნედლეულის გადამამუშავება მოხდება 4 სამსხვრეზე) და არსებული სალექარის ნაცვლად ახალი სადრენაჟე არხის მოწყობა, რომლის საშუალებითაც გაწმენდილი წყლის ჩაჟონვა მოხდება გრუნტში შესაბამისად აღარ მოხდება მდ. ფოცხოვში წყალჩაშვება. **ბეტონისა და ბეტონის ნაკეთობათა საწარმოში** გათვალისწინებულია წლიური წარმადობის გაზრდა, სილოსებზე არსებული ფილტრების სისტემის ცვლილება, ასევე, ბეტონის ნაკეთობებში გამოსაყენებელი ელექტროდების რაოდენობის გაზრდა. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებებით გათვალისწინებული სამუშაოების ხანგრძლივობა შეადგენს დაახლოებით 3 თვეს.

დოკუმენტაციის თანახმად, ცემენტის საწარმო განთავსებულია 8 053 მ³ ფართობის მქონე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 62.08.59.045), საიდანაც უშუალოდ ცემენტის წარმოებისათვის გამოყენებული ფართობი შეადგენს 2 500 მ²-ს, ხოლო 1 200 მ² ფართობზე განთავსებულია ძირითადი ტექნოლოგიური დანადგარები: ცემენტის წისქვილი, კლინკერის, თაბაშირისა და დანამატების დოზატორები, წისქვილის ბურთულები, ფხვნილოვანი სეპარატორი, სახელოიანი ფილტრი, კოვზური ელევატორი, ოთხი ერთეული სილოსი, ცემენტის დამფასოებელი და ცემენტშიდებში ჩამტვირთავი დანადგარები. ცემენტის საწარმოს საქმიანობა გულისხმობს პორტლანდცემენტის სხვადასხვა მარკის წარმოებას. საწარმოს პერიმეტრზე მოწყობილია ღობე, დანადგარების განთავსებისა და საწყობის ტერიტორია გადახურულია, ხოლო ზედაპირი დაფარულია ბეტონის ტენშეულწვეადი მასალით. ცემენტის საწარმოში ნედლეულის შემოტანა ხორციელდება ავტოთვითმცლელელებით და თავსდება საწარმოო შენობაში, ბურთულებიანი წისქვილის მიმდებარედ, საიდანაც იყრება 3 დოზატორში. დოზატორებიდან ლენტური ტრანსპორტიორის საშუალებით მზა კაზმი იყრება წისქვილის ბუნკერში და შემდგომ წისქვილში. დაფქვილი ცემენტი გადაიტვირთება საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ ოთხ სილოსში (არსებული ოთხი სილოსიდან ამჟამად ფუნქციონირებს ორი), ხოლო დაუფქვავი კაზმი ბრუნდება წისქვილში ხელმეორედ დაფქვის მიზნით. დანაკარგების თავიდან აცილების მიზნით, ბურთულებიან წისქვილზე და თითოეულ სილოსზე დამონტაჟებულია 99,9% ეფექტურობის მქონე ფილტრები. ტექნოლოგიური პროცესები ხორციელდება ოთხი მხრიდან დახურულ, რკინის კონსტრუქციის ფარდულში. ღია ცის ქვეშ განთავსებულია მხოლოდ სილოსები და მზა პროდუქციის გამცემი უბანი. სილოსებიდან ცემენტი იტვირთება ცემენტშიდებში ან პარკებში (ამჟამად პარკებში გაცემის უბანი არ ფუნქციონირებს), სადაც დანაკარგების თავიდან აცილების მიზნით ჩატვირთვისას გამოიყენება ჩამტვირთავი სახელო. გზშ-ის ანგარიშისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიხედვით, ცემენტის საწარმოს მაქსიმალური წარმადობა შეადგენდა 15 ტონა/სთ-ს. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში ცემენტის საწარმოს წლიური წარმადობა შეადგენს 7 ტონა/სთ. შეიცვლება ასევე საწარმოს სამუშაო გრაფიკი და ობიექტი ნაცვლად 300 დღისა (დღე-ღამეში 20 სთ) იფუნქციონირებს 250 დღე (დღე-ღამეში 20 სთ). შესაბამისად, ცემენტის საწარმოში წლის განმავლობაში ნაცვლად 90 000 ტონისა იწარმოება 35 000 ტონა ცემენტი. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში

შემცირდება აგრეთვე წარმოებისთვის გამოყენებული ნედლეულის რაოდენობა: კლინკერი - 29 400 ტონა (ნაცვლად 63 000 ტონისა), პემზა - 3 500 ტონა (ნაცვლად 22 500 ტონისა) და სხვა დანამატები (თაბაშირი, ღორღი, ბაზალტი) ჯამურად 2 100 ტონა (ნაცვლად 4 500 ტონისა). გარდა ზემოაღნიშნულისა, გზმ-ის ანგარიშისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიხედვით, მინერალური დანამატების გაშრობის მიზნით ცემენტის საწარმოში გათვალისწინებული იყო საშრობი დანადგარის განთავსება, რომლის საქვებში საწვავად გამოიყენება ბუნებრივი აირი. ვინაიდან საწარმოს გაზომმარაგება არ ხორციელდება, კომპანიის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, საწარმოს მომარაგება განხორციელდეს დაბალი ტენიანობის პემზით, რომელიც არ საჭიროებს გამოშრობას. ამასთან, საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში გამოვლინდა წისქვილის ფილტრის გამწოვი ვენტილატორის წარმადობის შეუსაბამობა წისქვილთან, რაც იწვევს აღნიშნული წისქვილის მუშაობის შეფერხებას. შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებულია სახელოიანი ფილტრის არსებული გამწოვი ვენტილატორის შეცვლა არსებულზე ორჯერ მეტი წარმადობის მქონე ვენტილატორით. გამწოვი ვენტილატორის ტექნიკური პარამეტრები შემდეგია: მოცულობითი სიჩქარე - 4500 მ³ (1,25 მ³/წმ), ხაზოვანი სიჩქარე (0,8 მ დიამეტრის მქონე მილის პირობებში) 2.488 მ/წმ. ცემენტის ოთხ სილოსზე გზმ-ის ანგარიშისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ოთხი ფილტრის ნაცვლად მოეწყობა ერთი საერთო ფილტრი და ოთხივე სილოსისთვის საერთო მტვერდამცლელი მილი, რომლებსაც მოემსახურება ერთი საერთო კასეტური ფილტრი. აგრეთვე, ცემენტის დაფასოების დანადგართან მოეწყობა ოთხი მხრიდან დახურული, გადახურული შენობა-ნაგებობა.

გზმ-ის ანგარიშისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების თანახმად, ინერტული მასალების გადამამუშავებელ საწარმოში ცემენტისა და სამშენებლო ბლოკის წარმოებისთვის საჭირო ნედლეულის დამუშავება გათვალისწინებულია ხუთი ერთეული სამსხვრევი დანადგარის მეშვეობით. წარმოდგენილი ინფორმაციით, ერთ-ერთი სამსხვრევი დანადგარი გამოსულია მწყობრიდან და არ ექვემდებარება შეკეთებას, შესაბამისად, დაგეგმილია აღნიშნული სამსხვრევი დანადგარის ექსპლუატაციიდან ამოღება და დაშლილ მდგომარეობაში, საწარმოს ტერიტორიაზე დასაწყობება. ექსპლუატაციაში დარჩება ოთხი ერთეული სამსხვრევი დანადგარი, საიდანაც პირველ სამსხვრევ დანადგარზე წლის განმავლობაში განხორციელდება 90 000 ტონა ნედლეულის მსხვრევა და მიღებული იქნება 31 500 ტონა ქვიშა (ფრაქცია 0-5 მმ), 27 000 ტონა ღორღი (ფრაქცია 5-10 მმ), 31 500 ღორღი (ფრაქცია 10-20მმ). მეორე და მესამე სამსხვრევ დანადგარებზე განხორციელდება პირველ სამსხვრევ დანადგარზე მსხვრევის შედეგად მიღებული ღორღის ნაწილის ხელმეორედ გადამამუშავება და მიიღება ინერტული მასალები შემდეგი რაოდენობით: მეორე სამსხვრევ დანადგარში - 3 000 ტონა ღორღი (ფრაქცია 0-10 მმ), მესამე სამსხვრევ დანადგარში - 30 000 ტონა ქვიშა (ფრაქცია 0-5 მმ). მეოთხე სამსხვრევ დანადგარში მოხდება 30 000 ტონა პემზის გადამამუშავება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ბეტონის საწარმოში ფუნქციონირებს გზმ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ერთი ბეტონშემრევი დანადგარი და ორი სილოსი. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით დაგეგმილია ბეტონის წარმოების გაზრდა, კერძოდ, წლის განმავლობაში წარმოებული

იქნება 73 000 ტონა ბეტონი, ნაცვლად 45 800 ტონისა. ნედლეულად გამოყენებული იქნება ინერტული მასალა - 50 300 ტონა და ცემენტი - 18 300 ტონა. ამასთან, ბეტონის საწარმოში არსებულ სილოსებზე, ორი ფილტრის ნაცვლად, მოეწყობა ერთი საერთო ფილტრი, შესაბამისად გაუქმდება ერთი ფილტრი. წარმოდგენილი ინფორმაციით, არსებული ტექნოლოგიური დანადგარების წარმადობის გათვალისწინებით, ბეტონის წარმოების გაზრდა შესაძლებელია ტექნოლოგიური ცვლილებების განხორციელების გარეშე.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, ასევე გათვალისწინებულია ბეტონის ნაკეთობათა საწარმოს წარმადობის გაზრდა, რაც დაკავშირებულია სამომხმარებლო ბაზარზე ბეტონის ნაკეთობებზე მოთხოვნის ზრდასთან. საწარმოში, ნაცვლად გზმ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული 2 000 ტონისა, წლის განმავლობაში წარმოებული იქნება 7 000 ტონა ბეტონის ნაკეთობა, რისთვისაც გამოყენებული ნედლეულის რაოდენობა შეადგენს შემდეგს: ინერტული მასალა - 5 800 ტონა, ცემენტი - 780 ტონა.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ლითონის შედუღების უბანი, სადაც შედუღება ხდება ხელის შესადუღებელი აპარატის მეშვეობით, ელექტროდებით. არსებული მდგომარეობით, წლის განმავლობაში საწარმოს მიერ მოხმარებული ელექტროდების მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს 300 კგ-ს. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, ბეტონის და ბეტონის ნაკეთობათა საწარმოს წარმადობის გაზრდასთან ერთად გაიზრდება მოხმარებული ელექტროდების რაოდენობა და ნაცვლად 300 კგ-სა გახდება 1000 კგ. ამასთან, გამოყენებული იქნება სხვა სახეობის, არსებულთან შედარებით ეკონომიური ელექტროდები.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, მდ. ფოცხოვის ადიდების შედეგად რამდენჯერმე დაიტბორა საწარმოში არსებული სალექარი, რომელიც უზრუნველყოფდა საწარმოო და სანიაღვრე ჩამდინარე წყლების გაწმენდას. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სალექარის ნაცვლად ღია სადრენაჟე არხის მოწყობის თაობაზე, რომლის ფუნქციონირება დამოკიდებული არ იქნება მდინარეში წყლის დონეზე. ამასთან, გაუქმდება არსებული სალექარის მდინარესთან დამაკავშირებელი არხი. სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო სალექარი წარმოადგენს სამსექციიან ღია სადრენაჟე არხს. სადრენაჟე არხის (სალექარის) პირველი სექციის მოწყობა მოხდება არსებული სალექარის პარამეტრების გაზრდით - დაღრმავებითა და სიგანის გაფართოებით. პირველი სექციის პარამეტრები შემდეგია: სიგრძე - 47 მეტრი, სიგანე - 3.5 მეტრი, საშუალო სამუშაო სიღრმე - 2.5 მეტრი, მოცულობა 542.85 მ³. აღნიშნული სექციის მთელ პერიმეტრზე მოეწყობა 0.8-1.0 მეტრი სიმაღლის მიწაყრილი. სალექარის მეორე და მესამე სექცია მოეწყობა საწარმოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ოთხივე მხრიდან კედლების მქონე, ერთმანეთთან დაკავშირებული, თავდია, მიწისზედა ავზების სახით. მეორე სექციის სიგრძე შეადგენს 84 მეტრს, სიგანე - 3.5 მეტრს, სამუშაო სიღრმე - 2.5 მეტრს, ხოლო მოცულობა - 735 მ³-ს. მესამე სექციის პარამეტრები შემდეგია: სიგრძე - 67 მეტრი, სიგანე - 14.7 მეტრი, სამუშაო სიღრმე - 2.5 მეტრი, სამუშაო მოცულობა - 2462, 25 მ³. სალექარის მესამე სექცია მდინარის კალაპოტიდან დაშორებული იქნება 31.2 მეტრით. სალექარის სამივე სექციის ფსკერზე ფილტრის სახით

თანმიმდევრობით განთავსდება ღორღის მსხვილი ფრაქციის, ქვიშის, ღორღის წვრილი ფრაქციისა და ღორღის მსხვილი ფრაქციის ფენები (საერთო სიღრმე 1-1,2 მეტრი). წყლის შესვლისა და გამოსვლის წერტილების სიღრმეებს შორის სხვაობა (სალექარის დახრილობა) იქნება 0.2 მეტრი. სალექარის ფსკერზე მოწყობილი გამფილტრავი ფენის გავლის შემდეგ გრუნტში მოხვდება სუფთა წყალი. სალექარის სექციები ერთმანეთს დაუკავშირდება მილის საშუალებით. ბალასტის რეცხვის შედეგად წარმოქმნილი შეწონილი ნაწილაკებით დაბინძურებული წყალი მოხვდება პირველ სექციაში, საიდანაც თვითდინებით ჩაედინება მეორე და მესამე სექციებში. მესამე სექციიდან სალექარის დაკავშირება ზედაპირული წყლის ობიექტთან გათვალისწინებული არ არის, სალექარის სამივე სექციიდან წყლის ჩაჟონვა მოხდება გრუნტში, ხოლო სექციების კუთხის დახრილობის გათვალისწინებით, წყალში არსებული შეწონილი ნაწილაკების დალექვა მოხდება სალექარის ფსკერზე. სალექარში დაგროვილი შლამის დღე-ღამური მოცულობა შეადგენს 3.64 მ³-ს, რომლის ამოღება გათვალისწინებულია ყოველდღიურად. ამოღებული შლამი განთავსდება სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე, ხოლო შემდგომ მოხდება რეალიზაცია. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული სადრენაჟე არხის (სალექარის) მოწყობის პრინციპი გამორიცხავს გრუნტის წყალში დაბინძურებული წყლის მოხვედრას.

საწარმოში წყალი გამოიყენება სამეურნეო-საყოფაცხოვრებო, ტექნიკური და საწარმოო მიზნებისთვის. სამეურნეო-საყოფაცხოვრებო მიზნით წყალაღება ხორციელდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან, წყალმომარაგების კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო გამოყენებული წყლის რაოდენობა წლის განმავლობაში შეადგენს 472,5 მ³-ს. საწარმოში, ტექნოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე, ცემენტის წარმოებაში წყლის გამოყენება არ ხდება. ინერტული მასალის, ბეტონის და ბეტონის ნაკეთობათა წარმოებაში წყალი გამოიყენება ტექნოლოგიურ პროცესში, ტექნიკური მიზნით (ბალასტის რეცხვისთვის). საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში დაზუსტდა აღნიშნული მიზნით მოხმარებული წყლის რაოდენობა, რაც 1 ტონა ბალასტის რეცხვისთვის შეადგენს 0.13 მ³-ს, შესაბამისად ინერტული მასალების გადამამუშავებელი საწარმოს წარმადობის შემცირებისა და ბეტონისა და ბეტონის ნაკეთობათა საწარმოს წარმადობის გაზრდის გათვალისწინებით, წლის განმავლობაში მოხმარებული წყლის რაოდენობა ჯამურად შეადგენს 20 000 მ³-ს (ნაცვლად 49 000 მ³-ისა). საწარმოო და ტექნიკური მიზნით წყალაღება ხორციელდება საწარმოს ტერიტორიაზე არსებული არხიდან, რომელიც მარაგდება მდ. ფოცხოვის წყლით. წყალაღების წერტილის GPS კოორდინატებია: X-325461, Y-4611848. საწარმოს ტერიტორიაზე წარმოიქმნება სამეურნეო-საყოფაცხოვრებო, საწარმოო და სანიაღვრე ჩამდინარე წყლები. საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლის ჩაშვება ხორციელდება საასენიზაციო ორმოში, რომელიც პერიოდულად დაიცლება სპეციალური ტექნიკის საშუალებით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოში დაგეგმილი ცვლილებების განხორციელების პროცესში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა დაკავშირებულია სადრენაჟე არხის - სალექარის მოწყობასთან და მცირე სამონტაჟო სამუშაოებთან. როგორც უკვე აღინიშნა, მოწყობის სამუშაოების ხანგრძლივობა შეადგენს 3 თვეს. შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებების განხორციელების პროცესში ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი. რაც შეეხება

ექსპლუატაციის ეტაპს, დოკუმენტში მოცემულია ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ექსპლუატაციის პირობების ცვლილებების გათვალისწინებით, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერების გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები, ასევე, გაფრქვეული არაორგანული მტვრის რაოდენობრივი მაჩვენებლები უახლოესი საცხოვრებელი სახლის დაშორების მანძილის გათვალისწინებით. წარმოდგენილი გაბნევის ანგარიშის თანახმად, ობიექტის ექსპლუატაციის შედეგად, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია არ აჭარბებს ნორმით დადგენილ დასაშვებ მნიშვნელობას უახლოეს მოსახლესთან მიმართებით, რომელიც საწარმოდან დაშორებულია 68 მეტრი მანძილით (საწარმოს ნულოვანი გაფრქვევის წყაროდან 145 მეტრი). ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით დაგეგმილია ცემენტის საწარმოს წარმადობისა და სამუშაო რეჟიმის, ასევე, ინერტული მასალის გადამამუშავებელ საწარმოში სამსხვრევი დანადგარების რაოდენობის შემცირება, შესაბამისად შემცირდება ობიექტის ექსპლუატაციით მოსალოდნელი ატმოსფერულ ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, მოწყობის ეტაპზე ხმაურის წარმოქმნა დაკავშირებულია სადრენაჟე არხი (სალექარი) მოწყობის სამუშაოების პროცესში ტექნიკის გადაადგილებასთან. აღნიშნული სამუშაოების მასშტაბისა და ხანგრძლივობის (3 თვე) გათვალისწინებით, ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი. რაც შეეხება საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპს, საწარმოში დაგეგმილი ცვლილებები არ არის დაკავშირებული ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ზრდასთან.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ არის დაკავშირებული ობიექტის ფუნქციონირების ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობისა და სახეობების გაზრდასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ცემენტის საწარმოს წარმადობის შემცირება დაკავშირებულია ნედლეულისა და მზა პროდუქციის (ცემენტი) ტრანსპორტირების მიზნით განსახორციელებელი სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობის შემცირებასთან, ხოლო ბეტონის საწარმოს წარმადობის ზრდის ხარჯზე გაიზრდება მზა ბეტონის ტრანსპორტირების მიზნით შესასრულებელი ოპერაციები. საერთო ჯამში, დაგეგმილი ცვლილებების გათვალისწინებით მოსალოდნელია სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედების შემცირება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოს ფუნქციონირების შედეგად კუმულაციურ ზემოქმედებაში განხილულია ობიექტის საკადასტრო საზღვრიდან 23 მეტრში არსებული შპს „ასტორიას“ კუთვნილი ასფალტის, ბეტონისა და ინერტული მასალების საწარმო. სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიში, სადაც ფონურ მაჩვენებლებად გათვალისწინებულ იქნა შპს „ასტორიას“ კუთვნილი საწარმოდან გაფრქვევის მაჩვენებლები. გაბნევის ანგარიშის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შედეგად, ატმოსფერული ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია როგორც უახლოეს მოსახლესთან, ისე 500 მეტრიანი რადიუსის საზღვარზე არ გადააჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ

ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის მაჩვენებლებს და შესაბამისად, საწარმოების ერთობლივი ფუნქციონირება არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების გაზრდასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საწარმოს სიახლოვეს არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ობიექტი განთავსებულია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, რომელიც თავისუფალია მცენარეული საფარისაგან. საწარმოს სიახლოვეს არ ფიქსირდება ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაგზავნილ იქნა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილი არ ყოფილა.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტში, ქ. ვალეში, შპს „თენგო 2000“-ის ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „თენგო 2000“ ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 29 იანვრის (ბრძანება №2-72) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებების გათვალისწინებით;
3. შპს „თენგო 2000“-მა ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს განახლებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის“ სააგენტოსთან შეთანხმება (ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით). საქმიანობის განხორციელებისას უზრუნველყოს შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების ასევე, აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
4. შპს „თენგო 2000“-მა ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს გაფრქვევის წყაროზე ფაქტობრივი რაოდენობის უწყვეტი ინსტრუმენტული მეთოდით განსაზღვრა „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილების შესაბამისად;

5. შპს „თენგო 2000“-მა ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს განახლებული მონიტორინგის გეგმის ხელახალი შემუშავება და სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროზე თვითმონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებთან ერთად (უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის სისტემის გათვალისწინებით), საწარმოს ტერიტორიაზე და უახლოეს მოსახლესთან ატმოსფერული ჰაერის, ასევე ხმაურის ინსტრუმენტული მონიტორინგი (მონიტორინგის წერტილების კოორდინატების, მონიტორინგის სიხშირისა და მონიტორინგის შედეგების სააგენტოში წარმოდგენის პერიოდის მითითებით). საქმიანობა განახორციელოს სააგენტოსთან შეთანხმებული მონიტორინგის გეგმის შესაბამისად;
6. ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 29 იანვრის (ბრძანება №2-72) შპს „თენგო 2000“-ის ცემენტის წარმოებაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
7. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „თენგო 2000“-ს;
8. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „თენგო 2000“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
9. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ახალციხის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო